


ქათევან პირებურაშვილი



საუკუნის ხელოვნება

ავანგარდი

თბილისი 2019

ეს წიგნი პირველად გამოიცა 2005 წელს, საქართველოში ამერიკის საელჩოს დემოკრატიის განვითარების პროგრამის დახმარებით. ამჯერად, მცირე რედაქციით, ის მეორედ იბეჭდება.

**ავტორი: ქეთევან კინწურაშვილი**

**დიზაინერი: დავით ჯანიაშვილი**

**რედაქტორი: მარინა ულენტი**

**კომპიუტერული უზრუნველყოფა: მარი ვერულაშვილი**

საავტორო უფლებები დაცულია.

დაუშვებელია გამოცემის მთლიანად ან ნაწილობრივ გამოყენება ნებისმიერი სახით ან ფორმით ავტორის და გამომცემლობის ნებართვის გარეშე.

ქეთევან კინწურაშვილი © საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა 2019.

**უკანა ყდაზე: კონსტანტინ ბრანკუსი, ყვითელი ჩიტი, 1919**

ყვითელი მარმარილო, თაბაშირის და მუხის ბაზისი, სიმაღლე ბაზისის ჩათვლით 221.6სმ, მარმარილოს ქანდაკება - 92 სმ.

იქნის უნივერსიტეტის სამხატვრო გალერეა,

ქეთრინ ს. დრაიერის ძლვენი, 1952.

მ. კოსტავას 77ა, 0171 თბილისი, საქართველო.

ელ.ფოსტა: ug@ug.edu.ge

თბილისი 2019

ISBN 978-9941-9644-3-5



**ქეთევანს. კინწურაშვილი -** ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, სამეცნიერო წიგნებისა და სტატიების, გამოფენებისა და სატელევიზიო გადაცემების ავტორი. 1978-2012 წლებში: გ. ჩუბინაშვილის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამმრომელი, თბილისის სამხატვრო აკადემიის ლექტორი, თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. 2009 წლიდან ასწავლის საქართველოს უნივერსიტეტში. სხვადასხვა დროს, ფულბრაიტის (ვაშინგტონი, 2003-04), IREX-ის მეცნიერთა გაცვლის (ვაშინგტონი, 1998), ღია საზოგადოების ინსტიტუტების (პრაღა, 1995-96; ბუდაპეშტი, 1998) პროგრამების ხელშეწყობით სამეცნიერო კვლევებს აწარმოებდა და ასწავლიდა მაუნთ ჰოლიოკის კოლეჯში (1995, 2004, 2007, აშშ), იელის უნივერსიტეტში (1996, 1998, აშშ), ოქსფორდის უნივერსიტეტში (2001, დიდი ბრიტანეთი). მომხსენებელი მრავალ საერთაშორისო კონფერენციაზე, სემინარზე, სიმპოზიუმზე და კონგრესზე, მათ შორის, ხელოვნების კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის XLVII კონგრესზე სამხრეთ კორეაში (2014). ზალცბურგის გლობალური სემინარების ორი სესიის მონაწილე (1999, 2006). მისი მონოგრაფიები დავით კაკაბაძის, ნიკო ფიროსმანის, პეტრე ოცხელის, ლევან ცუცქირიძის, კოკა იგნატოვის და სხვა მხატვრების შესახებ გამოცემულია თბილისში, ნიუ-იორკში, ვარშავაში, სანკტ-პეტრბურგსა და მოსკოვში. დ. შევარდნაძის ეროვნულ გალერეაში, შ. ამირანაშვილის ხელოვნების მუზეუმში და საზღვარგარეთ (მათ შორის, პრაღის კვადრიენალეზე) მოწყობილი გამოფენების კურატორი და სამეცნიერო კონსულტანტი.

## სარჩევი

11-	შესავალი	43-	ფოვიზმი Fauvism	87-	მიშენ Mishen
17-	ფორმალიზმი Formalism	44-	ხიდი Die Brucke	88-	ბუბნოვი ვალეტ Bubnovyi Valet
19-	მოდერნიზმი Modernism	44-	ექსპრესიონიზმი Expressionism	89-	ოსლინი ხვოსტი Oslinyi Khvost
29-	იმპრესიონიზმი Impressionism	49-	კუბიზმი Cubism	90-	ნეოპრიმიტივიზმი Neo-Primitivism
31-	ავანგარდი Avant-Garde	57-	კოლაჟი Collage	92-	ლუბოკი Lubok
31-	ნეოიმპრესიონიზმი Neo-Impressionism	59-	ფუტურიზმი Futurism	92-	კუბო-ფუტურიზმი Cubo-Futurism
32-	დივიზიონიზმი Divisionism	63-	ლურჯი მხედარი Der Blaue Reiter	93-	სუპრემატიზმი Suprematism
32-	პუანტალიზმი Puantalism	64-	ორფიზმი Orphism	96-	ნეოპლასტიკიზმი Neoplasticism
32-	პოსტიმპრესიონიზმი Post-Impressionism	65-	ოქროს კვეთა Section d'Or	98-	დე სტილი De Stijl
33-	სიმბოლიზმი Symbolism	66-	სინქრონიზმი Synchronism	99-	ელემენტარიზმი Elementarism
35-	სინთეტიზმი Synthetism	66-	მეტაფიზიკური მხატვრობა Metaphysical Painting	101-	ბაუჰაუზი Bauhaus
35-	კლუაზონიზმი Cloisonnism	67-	ვორტიკიზმი Vorticism	105-	არმორი შოუ Armory Show
38-	ნაბი Nabis	69-	პარიზის სკოლა School of Paris	105-	რედი მეიდი Ready Made
38-	პრერაფაელიტიზმი Pre-Raphaelitism	71-	აბსტრაქტული ხელოვნება Abstract Art	109-	დადა Dada
40-	არტ ნუვო Art Nuveau	83-	აბსტრაქცია-შემოქმედება Abstraction-Creation	111-	მერც Merz
41-	სეცესიონი Sezession	87-	ლუჩიზმი Luchism	116-	ეარბრაში Airbrush

117-	რეიოგრაფი Rayograph	187-	ნიუ-იორკის სკოლა New York School	228-	ასამბლაჟი Assemblage
119-	კონსტრუქტივიზმი Constructivism	191-	დრიპ ფეინტინგ Drip Painting	229-	ენვაირონმენტი Environment
141-	პროუნი Proun	192-	ექსენ ფეინტინგ Action Painting	230-	ჰეფენინგი Happening
143-	პურიზმი Purism	198-	არქიპენტრიზმი Archipentura	230-	პერფორმანსი Performance
149-	სიურეალიზმი Surrealism	205-	პოსტმოდერნიზმი Postmodernism	233-	ჰარდ ედჯ ფეინტინგ Hard Edge Painting
160-	ფროტაჟი Frottage	207-	პოპ არტი Pop Art	234-	პოსტ-ფეინტერლი ფეინტინგ
160-	დეკალკომანია Decalcomania	218-	სკრინფრინტინგ Screenprinting		Post-Painterly Painting
161-	ფიუმაჟი Fumage	219-	სერიგრაფია Serigraphy	234-	ქოლორფილდ ფეინტინგ
167-	არტ დეკო Art Deco	219-	ბლექ მაუნტინ კოლეჯი Black Mountain College		Color Field Painting
169-	კონკრეტული ხელოვნება Concrete Art	220-	პრეპეარდ პიანო Prepared Piano	235-	სიტუაციონიზმი Situationism
171-	სოციალისტური რეალიზმი Socialist Realism	225-	ინფორმელ არტ Informel Art	235-	ლეტრიზმი Lettrism
175-	სოციალური რეალიზმი Social Realism	225-	ტაშიზმი Tachism	236-	ბოდი არტ Body Art
175-	რეგიონალიზმი Regionalism	226-	კობრა Cobra	236-	ოპ არტ Op Art
179-	“დეგენერატული” ხელოვნება Degenerate Art	226-	არტ ბრუტი Art Brut	237-	არტ პოვერა Arte Povera
187-	ამერიკული აბსტრაქტული ექსპრესიონიზმი American Abstract Expressionism	227-	ჯანკ არტი Junk Art	238-	სუპერრეალიზმი Superrealism
		228-	ფანკ არტი Funk Art	242-	ფლუქსუსი Fluxus

245-	სფეირალიზმი Spatialism	264-	ტრანსავანგარდი Transavantgarde	285-	სტრუქტურალიზმი Structuralism
247-	კონცეპტუალიზმი Conceptualism	265-	გრაფიტი Graffiti	285-	დეკონსტრუირება Deconstruction
249-	ანტი-ობიექტ არტ Anti-Object Art	266-	ნეოექსპრესიონიზმი Neo-Expressionism	295-	ბოლოსიტყვა
251-	მინიმალიზმი Minimalism	267-	ჯესტრალიზმი Gesteralism	299-	ბოჰემური Bohemian
253-	ლენდ არტი Land Art	267-	ნეოგეო Neo-Geo		
253-	ერზ არტ Earth Art	267-	კომპიუტერული ხელოვნება Cyberart	303-	ილუსტრაციები
256-	პროცეს არტ Process Art	267-	ონლაინ არტი On-line Art	361-	მოხსენიებული პირები
256-	მედია არტი Media Art	268-	საუნდ არტი Sound Art	385-	გამოყენებული ლიტერატურა
257-	მიქსდ მედია Mixed Media	268-	ლაით არტი Light Art	389-	მუზეუმები და გამოფენები
257-	ვიდეო არტი Video Art	269-	სემიოტიკა Semiotics		
259-	შეიფლ ქენვას Shaped Canvas	271-	ეკლექტიზმი Eclecticism	393-	შთაბეჭდილებიდან პროცესამდე
259-	ლონდონის სკოლა School of London	271-	კიტჩი Kitsch		
260-	სქაი არტ Sky Art	273-	პოპულარული ანაბეჭდი Popular Print		
261-	ინსტალაცია Installation	273-	სიმულაკრუმ Simulacrum		
262-	სოს არტი Sots Art	274-	ფემინისტური ხელოვნება Feminist Art		
263-	კინეტიკური ხელოვნება Kinetic Art	279-	ფემიჯი Femmage		

**შეკითხვა:** შეხედეთ ამ სკულპტურას. ეს ხელოვნების ნიმუშია?

**მოწმე:** ჩემი შეხედულებით, არის.

**შეკითხვა:** ამას ხელოვნებად თვლით?

**მოწმე:** რა თქმა უნდა!

**შეკითხვა:** რატომ?

**მოწმე:** ის ჩემში მშვენიერების შეგრძნებას აღძრავს.

**შეკითხვა:** აქ რომ რკინის ლიანდაგი გვქონოდა, მეტნაკლებად სი-  
მეტრიულად ჩამოსხმული და კარგად გაპრიალებული, ისიც ხე-  
ლოვნების ნიმუში იქნებოდა?

**მოწმე:** შეიძლებოდა ყოფილიყო.

**შეკითხვა:** და არ ექნებოდა მნიშვნელობა, სკულპტორის მიერ იქნე-  
ბოდა შექმნილი თუ მექანიკოსის?

**მოწმე:** მექანიკოსს არ შეუძლია მშვენიერი ნამუშევრის შექმნა.

**შეკითხვა:** თქვენ გინდათ მითხრათ, რომ პირველი კლასის მექან-  
იკოსიც კი ვერ შეძლებდა ამ ნიმუშის ჩამოსხმას და გაპრიალებას?

**მოწმე:** ის ვერ ჩაიფიქრებდა ამას. მექანიკოსი ვერ ჩაიფიქრებდა.

**შეკითხვა:** თუ ჩაიფიქრებდა, მაშინ მხატვარი იქნებოდა?

**მოწმე:** იქნებოდა.

ნაწყვეტი 1927 წლის სასამართლო საქმიდან, რომელიც განიხილავდა  
საკითხს, არის თუ არა ხელოვნების ნიმუში კონსტანტინ ბრანკუსის  
„მფრინავი ჩიტი.“ სკულპტურა საბაჟოს თანამშრომლებმა ამერიკის  
საზღვარზე „დააპატიმრეს.“ მოწმეა სკულპტორი იაკობ ეპშტეინი.<sup>1</sup>

1. Leonard Diepeveen, *The Difficulties of Modernism* (New York and London: Routledge, 2003), p. 211.

1889 წელს, პარიზის შუაგულში აღიმართა ეიფელის კოშკი – სიმბოლო, რომელმაც გამოხატა ეპოქა და შეცვალა აზროვნება. მასში თვალნათლივ აისახა მოდერნისტული მისწრაფებები. ეს არის ლითონის კონსტრუქცია, რომელშიც მოძრაობს ლიფტები. ჩონჩხი გაშიშვლებულია და სივრცე ნაგებობის შემადგენელ ნაწილადაა ქცეული, ან შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნავებობა სივრცის აქტიური ნაწილია.

1936 წელს, ნიუ-იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, ალბერტ აინშტაინმა 40 წელი დაპყო ალექსანდრე კოლდერის კინეტიკური სკულპტურის ნინ. ბოლოს მან აღიარა, რომ ინატრებდა, თვითონ შეექმნა მსგავსი სკულპტურა. კინეტიკური, ანუ მოძრავი ქანდაკებები – მობილები - სივრცეში მოძრავი აბსტრაქტული ფორმებია. ისინი კოლდერის ცნობილი ქმნილებებია.

1989 წელს, როდესაც ეიფელის კოშკს 100 წელი შეუსრულდა, პარიზში, ლუვრის ნინ, მინის პირამიდა დაიდგა. ეს, უკვე შეიძლება განვიხილოთ როგორც პოსტმოდერნისტული მოვლენა. ჩინელმა არქიტექტორმა – იეჟ მინგ პეიმ გაბედული პროექტი შესთავაზა პარიზს და პარიზმაც მიიღო იგი. პირამიდის უძველესი ფორმა, თუმცა ამჯერად გამჭვირვალე, მინისა - გამოწვევაა, რომელშიც აისახა 21-ე საუკუნის მოახლოება.

ხელოვნება გამოხატავს დროს და თანაც წინ უბიძგებს მას, რადგან ვიზუალურად ასახავს იმას, რაც დროს წარმართავს. როგორი იქნებოდა მე-20 საუკუნე, რომ არ ყოფილიყვნენ პიკასო და კანდინსკი, დუშანი და დალი, პოლოკი და მირო (ისევე, როგორც ჩაპლინი და აინშტაინი, ჯოისი და ედისონი, არმსტრონგი და ჰემინგუეი) ?! რთულია ამის წარმოდგენა.

# რა იგულისხმება “ფორმალიზმი”

ერთ-ერთი ტერმინი, რომელსაც სახელმძღვანელოში ხშირად შეხვდებით, არის ფორმალიზმი. ავანგარდულ ხელოვნებასთან მიმართებით ეს მნიშვნელოვანი ტერმინია და, უმჯობესია, იგი თავიდანვე განვმარტოთ. მითუმეტეს, რომ კომუნისტური პანაკის ქვეყნებში მას „გამრუდებული“ შინაარსი ჰქონდა და ფორმალისტის „იარლიყი“ მხატვრისათვის ავის მომასწავებელიც კი იყო. ამ ტერმინით ნათლავდნენ ყველას, ვინც სოციალისტური რეალიზმის (მის შესახებ იხილეთ ქვემოთ) გზას არ მიჰყვებოდა. ასე იყო ტოტალიტარულ სახელმწიფოებში. დანარჩენი მსოფლიო კი აუღელვებლად იყენებდა ამ „უწყინარ“ ტერმინს. იგი წარმოდგება სიტყვიდან - ფორმა. როდესაც ვამბობთ, რომ ნაწარმოები ფორმალისტურია, ვგულისხმობთ ფორმის პრიმატს. ფერი, ხაზი, ზომა, ფაქტურა, მასშტაბი - მხატვრული აქცენტი ამ კომპონენტებზეა გადატანილი. ფორმალისტურ ნაწარმოებს რომ ვუყურებთ, თვალში ის უფრო გვხვდება, თუ როგორ არის დახატული ან გამოძერნილი, რა საშუალებებია გამოყენებული, ვიდრე ის, თუ რა არის დახატული ან გამოძერნილი, რას მოგვითხრობს (!) იგი. „მე ქალი კი არ გამოვსახე, არამედ სურათი შევქმნი, თორემ მსგავსი ქალი სიცოცხლეში რომ შემხვედროდა, მისგან ალბათ შორს გავიქცეოდი“<sup>1</sup> - ამბობს **ანრი მატისი** „ლურჯი შიშველი ნა-

1. Charles Harrison, Francis Frascina, and Gill Perry, *Primitivism, Cubism, Abstraction* (New Haven and London: Yale University Press, 1993), p. 61.

ტურის“ შესახებ, რომელიც 1907 წელს შექმნა. ამ სიტყვებით ის ხაზს უს-ვამს, რომ ნაწარმოებში მისთვის მთავარია ფერი და ფორმა.

ფორმასთან დაკავშირებით ფილოსოფიური დებატები ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში იმართებოდა. თუმცა, ფორმალიზმის კონცეფ-ცია უშუალოდ მოდერნულ ხელოვნებასთან არის დაკავშირებული. ამ საკითხზე, მე-20 საუკუნის დასაწყისში, ბრიტანელმა კრიტიკოსებ-მა - ქლაივ ბელმა და როჯერ ფრაიმ გაამახვილეს ყურადღება. ორი საუკუნის მიჯნაზე, ფორმალიზმის განვითარებას იაპონური გრაფიკი-თა და აფრიკული სკულპტურით გატაცებამაც შეუწყო ხელი, რაც ხე-ლოვნების ფორმის „მულტიკულტურულ ევოლუციაში“ გამოვლინ-და. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ფორმალიზმზე განსაკუთრებული აქცენტი ამერიკელმა კრიტიკოსმა ქლემენტ გრინბერგმა გააკეთა. მა-გრამ 1960-იან წლებში, პოპ არტის განვითარებასთან ერთად, ცხადი გახდა, რომ მხოლოდ ფორმალისტური მიდგომით, კულტურული კონ-ტექსტის გაუთვალისწინებლად, შეუძლებელია ახალი და უახლესი ხე-ლოვნების განხილვა და თუნდაც, პოპ არტის ანალიზი. ამიტომ, ფორ-მალიზმი უფრო ფართო კრიტიკულ ცნებებში გადაიზარდა - ფერმინიზმი, სემიოტიკა და ა.შ. ყოველივე ამის შესახებ შემდგომ პარაგრაფებში ვი-საუბრებთ. დასაწყისში უნდა გავითვალისწინოთ, რომ ფორმალიზმი მოდერნული ხელოვნების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია და სასურველია, შევეცადოთ დავინახოთ (!) და შევისწავლოთ ფერი, ხაზი ან წერტილი ისე, როგორც ამას კანდინსკი გვთავაზობს თავის ნაშრომ-ში - „წერტილი და ხაზი სიბრტყეზე“ (დაწერილია 1926 წელს).

# რა ხდებოდა მანაგდე, რამ იცინას წარმეტყველა მოღერნიზმი

მე-20 საუკუნის მანძილზე მხატვრულ მიმდინარეობათა განსაცვიფრებლად სწრაფი ცვალებადობა ერთი მხრივ, გაკვირვებას იწვევს. მეორე მხრივ, რადგან ხელოვნება გამოხატავს და პასუხობს დროს, ხოლო მე-20 საუკუნე მუდმივ ცვლილებათა ეპოქაა, ალბათ ლოგიკურია მიმდინარეობათა ასეთი მრავალფეროვნება. თუმცა, ყოველივე ამისთვის საფუძველი მე-20 საუკუნის დადგომამდე შეიქმნა.

მე-18 საუკუნის ბოლოდან ხელოვნების ენის ცვლილება მრავალმა ფაქტორმა განაპირობა. მთავარი როლი ინდუსტრიალიზაციამ ითამაშა, რამაც შეცვალა საგანთა შექმნის გზა. ურბანიზაციამ მათი გამოყენების ფორმების გარდაქმნა გამოიწვია. იმპერიათა გაფართოებამ ხელმისაწვდომ მასალათა რაოდენობა გაზიარდა. გამრავლდა ბაზრები და მრავალფეროვანი გახდა სავაჭრო ასპარეზი. განვითარდა ახალი გემოვნება და მოთხოვნილებები. ის, რაზეც, ერთ დროს, მხოლოდ ელიტას მიუწვდებოდა ხელი, ახლა უკვე მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი კლიენტებისათვისაც გახდა ხელმისაწვდომი. სოციალურ და ტექნოლოგიურ ცვლილებებთან ერთად იბადებოდა ახალი ჟანრები და მიმდინარეობები. მე-19 საუკუნის ორ უდიდეს ტექნოლოგიურ მიღწევას - ფოტოს და კინოს, დღესაც უდიდესი გავლენა აქვს სახვით ხელოვნებაზე და ზოგ შემთხვევაში ერწყმიან კიდეც მას.

მოდერნულ ხელოვნებას მოდერნული გამოგონებები დაედო საფუძვლად. მათში გამოიხატა ეპოქა. მათ ადამიანების ყოფითი გარემო, ყოველდღიურობა შეცვალეს. მრავალპლანიანი ხედვა, რაც კუბისტებთან აისახა, დინამიზმი, რომლის ასახვაც ფუტურისტების მიზანი გახდა, თავად ცხოვრებამ მოიტანა და დააყენა მხატვართა წინაშე, როგორც ამოცანა.

\*\*\*

1855 წელს ორთქლმავალმა გემმა გადაკვეთა ატლანტის ოკეანე. სამ წელიწადში ტრანსატლანტური ტელეგრაფის ხაზი ამუშავდა. 1864 წლიდან შესაძლებელი გახდა ფერადი რეპროდუქციის შექმნა. 1867 წელს ალფრედ ნობელმა შექმნა დინამიტი. 1860-იანი წლების ბოლოს, ამერიკაში ტრანსკონტინენტალური რკინიგზა გაიხსნა. იმავე პერიოდში ამოქმედდა სუეცის არხი. 1870-იან წლებში რამდენიმე უმნიშვნელოვანესი მოვლენა მოხდა: გრაჰამბელმა გამოიგონა ტელეფონი, თომას ედისონმა - ფონოგრაფი და ელექტრონათურა, ჯორჯ ისტმანმა - მშრალი ფოტოგრაფიული ფილები; მაშინ ჩაეყარა საფუძველი ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიასაც. 1884 წელს ლონდონის მეტრო გაიხსნა; მომდევნო წელს შიდანვის ძრავა გამოიგონეს. 1888-ში ისტმანმა კოდაკის ფოტოაპარატი დააპატენტა. 1889-ში ედისონმა კინესკოპი გამოიგონა, შემდევ წელს კი, ლუი სალივენის ფოლადის კონსტრუქციით სენტ-ლუისში პირველი ცათამბჯენი აიგო. საუკუნის დასასრულამდე კიდევ ბევრი რამ მოხდა: ვილჰელმ რენტგენმა X-სხივები აღმოაჩინა, ძმებმა ლუი და ოგუსტ ლუმიერებმა პირველი ფილმი უჩვენეს, გულიელმო მარკონიმ უმავთულო ტელეგრაფი გამოიგონა და

სულ მაღლე შეძლო რადიოტალღოვანი ტრანსატლანტური სიგნალების გაგზავნა. უოზეფ ტომსონმა ელექტრონი, ხოლო მარი და პიერ კიურებდა - რადიუმი აღმოაჩინეს. ზუსტად ორი საუკუნის მიჯნაზე ზიგმუნდ ფროიდმა სიზმრების ინტერპრეტაციის თეორია ჩამოაყალიბა, ხოლო მაქს პლანკმა კვანტური თეორია შექმნა. 1903 წელს ჰენრი ფორდმა ფორდის მოტორ-კომპანია დააარსა. იმავე წელს ორვილ და ვილბარ რაიტებმა აეროპლანით პირველი ფრენა აწარმოეს, შემდეგ აირა რუბელმა ოფსეტური ფოტოგრაფია გამოიგონა. 1905 წელს, ალბერტ აინშტაინმა ფარდობითობის თეორია გამოაქვეყნა, 10 წლის შემდეგ კი - ფარდობითობის ძირითადი პრინციპები, არაეკლიდური 4-განზომილებიანი სივრცისა და დროის რევოლუციური მოდელით. ლუი ბლერიოტმა მონოპლანით გადაუფრინა ინგლისის არხს. 1907 წელს „ლუციტანიამ“ 5 დღეში გადაკვეთა ატლანტის ოკეანე. 1914 წელს პანამის არხი გაიხსნა. 1926 წელს რობერტ გოდარდმა პირველად იფრინა თხევადსანვავიანი რაკეტით. მომდევნო წელს ჩარლზ ლინდბერგი მონოპლანით ნიუ-იორკიდან პარიზში გადაფრინდა. 1928 წელს ალექსანდრე ფლემინგმა პენიცილინი აღმოაჩინა. ეს მიღწევათა და აღმოჩენათა არასრული სიაა.

წარმოვიდგინოთ, რამდენად განსხვავდებოდა ახალი სამყარო ძველისაგან. გზატკეცილებზე და ხიდებზე გამოჩნდა ავტომობილები, ამოქმედდა დაზგები, ლიფტებმა დაიწყეს ზემოთ-ქვემოთ მოძრაობა, ახმაურდა საბეჭდი მანქანები, აულერდა ფონოგრამა, აგუგუნდა ორ-